# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-უქმეების შემდეგაც.—ოთხშაბათი, 23 თებერვალი 1900 წ. № 1051.

**გაზეთის ფასი:** წლიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.

ტელეფონი № 372.



## „მ ო ა მ ბ ე“ 1900 წ. „ცნობის ფურცელი“

| „მოამბე“ | „ცნობის ფურცელი“ |
| --- | --- |
| (წელიწადი მეშვიდე) | (წელიწადი მეხუთე) |
| გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში. | გამოვა ყოველ დღე კვირა უქმეების შემდეგაც. |
| ფასი ჟურნალისა გაგზავნით: | გაზეთის ფასი გაგზავნით: |
| 1 წლით 6 თვით 3 თვით | 1 წლით 6 თვით 3 თვით 1 თვით |
| 10 მანეთი 6 მან. 4 მან. | 6 მანეთი 3 მ 50 კ. 2 მანეთი 75 კაპ |
| სამზღვარ გარედ წლიურად 13 მან. | სამზღვარ გარედ წლიურად 7 მანეთი. |

წლიური ფასის შემტანს შეიძლება განაწილდეს:

| | |
| --- | --- |
| პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ. | პირველად 3 მან., 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ. |

ვინც „მოამბე“-ს ერთის წლით გამოიწერს „ცნობის ფურცელი“ უფასოდ დაეთმობა გამოწერის დღიდან

წლიური ფასი განაწილდება: 5 მან. პირველად, 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ ოქტომბრამდე 2 მანეთი

| | |
| --- | --- |
| ჟურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება, სხვათა შორის, შინაური და უცხოეთის მიმოხილვა. | გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბავი) და სხვ. |

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კ. მეოთხეზე—5 კ.

თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ“ и „Цнобисъ-Пурцели“.



ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ა. ს. როინაშვილის მიერ ნაანდერძევი

## ფოტოგრაფია

გადატანილ იქმნა ერევნის მოედანზედ, ხარაზოვის სახლში. (50—13)


## ახალი ამბავი

— კვირას, 20 თებერვალს, ქ. გორში მოხდა გორის მაზრის თავად-აზნაურთა ჩვეულებრივი კრება. კრებამ თავ-და-პირველად დაამტკიცა იმ თავად-აზნაურთა სიები, რომელთაც ნება აქვთ თავად-აზნაურობის კრებაში მონაწილეობის მიღებისა. შემდეგ კრებამ დაადგინა იშუამდგომლოს მაზრაში ახალი გზების გაყვანისა და ძველების შეკეთების შესახებ. შუამდგომლობის რედაქციის შესადგენად არჩეულ იქმნენ თავ. ვ. გ. მაჩაბელი, გ. დ. ქურული და თავ. გ. ნ. დიასამიძე. დასასრულ კრებამ მიაწოდა მაზრის მარშალს მიულოცოს გორის თავად-აზნაურობის მაგიერ ცნობილს მეცნიერს აკადემიკოსს თავ. ი. რ. თარხან-მოურავოვს 25 წლის სამეცნიერო იუბილეის დღე.

— მარტის პირველში ზუგდიდში გაიხსნება **საურთიერთო კრედიტის საზოგადოება.** როგორც უკვე ვაცნობეთ მკითხველთ, დიდი ხანი არ არის, რაც ამ საზოგადოების წესდება დაუმტკიცებია სათანადო მთავრობას.

— სამხრეთ რუსეთის ზოგიერთ მემამულეთ განუზრახავთ დაარსონ ხარკოვში ან ეკატერინოსლავში **სამეურნეო** ბანკი სამხრეთ რუსეთისა და კავკასიის მემამულეთათვის.

— დღეს, 23 თებერვალს, საექიმო საზოგადოების სადგომში მოხდება **კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოების წევრთა** საერთო კრება.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუვალებია კავკასიის ყველა გუბერნატორებისათვის შეიმუშავონ პროექტი იმ წეს-რიგისა, რომლითაც უნდა გარდაეცეს კერძო პირთ იჯარით **გლეხების** ის ადგილები, რომლებშიაც აღმოჩნდება რამე მადანი. პროექტი უნდა შესდგეს 1895 წლის 2 მაისს გამოსულ კანონის მიხედვით.

— 19 თებერვალს **მიწის ძვრა** მომხდარა არა მარტო ქალაქახალქალაქში, არამედ მაზრაშიაც. დაქცეულა ბევრი სახლი. საბედნიეროდ, არავინ უმსხვერპლია. ბევრი დარჩენილა უსახლ-კაროდ.

— **ტფილისის საბჭოს** უკანასკნელმა კრებამ თითქმის მთელი დრო არჩევნებს მოანდომა. ჯერ არჩეულ იქმნა ქალაქის მოადგილე, რაც უკვე ვაცნობეთ გუშინ მკითხველთ. შემდეგ არჩეულ იქმნენ სამოსწავლო კომისიის წევრებად ხმოსნები: ბ.ბ. ავ. იანდილოვი, ალიხანოვი, ქოჩორიანცი, ლისიციანცი, მელიქ-ბეგლიაროვი, არ. ბაბოვი, ვესელოვზოროვი ოსტროგორსკი და კარაპეტოვი. ამავე კომისიამ თვალყური უნდა ადევნოს ტფილისის სახელოსნო სასწავლებელს, ქალაქის ლომბარდის სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: თავ. ნ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, ლისიციანცი, ქოჩორიანცი და ტიგრანოვი. დასასრულ წაიკითხეს რამდენიმე სახლის პატრონთა საჩივარი მათი საკუთრების დაფასებაზე. ამ საჩივარის გასარჩევად და დაფასების განსახილველად საბჭომ აირჩია კომისიაში ბ.ბ. ალიხანოვი, შერშენკო, სულხანიშვილი, მელიქ-ნუბაროვი და ირიცფუხოვი.

— 19 თებერვალს ტფილისშიაც მომხდარა **მიწის ძვრა**, მაგრამ იმდენად სუსტი, რომ მხოლოდ ობსერვატორიის ინსტრუმენტებს აღუნიშნავთ და მცხოვრებთ არა გაუგიათ-რა.

— ამ დღეებში ტფილისში მოხდა კრება ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე მოსამსახურეების **დამხმარებელ საზოგადოების რწმუნებულთა.** წარსული წლის ანგარიშებიდან სჩანს, სხვათა შორის, რომ 1899 წელს საზოგადოების შემოსავალ-გასავალი იყო 553000 მანეთი, წელს კი ექმნება დაახლოვებით 720,000 მანეთი. ეს მომატება აიხსნება იმით, რომ წელს საზოგადოებამ გახსნა ახალი განყოფილება ტფილისში, დიდუბეში, და აპირებს განყოფილების დაარსებას ბაქოში. კრებაზე ჩამოვარდა სჯა-ბაასი,—დავკეტოთ სამტრედიის მაღაზიაო, რადგანაც მისი საქმეები ვერ მიდის კარგადაო, მაგრამ, თავმჯდომარის განცხადების თანახმად, რომ ბოლოს დროს სამტრედიის მაღაზიასაც კარგი ვაჭრობა აქვსო, კრებამ დაადგინა, იქონიოს განყოფილება სამტრედიაში და დააჩქაროს მისი გახსნა ბაქოში. კრებამ დაამტკიცა მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვა და დაიშალა 27 თებერვლამდე.

— ტფილისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს სხდომა, რომელზედაც უნდა გაირჩეს კითხვა ტფილისის ქალაქის მოურავისა და გამგეობის წევრთა, აგრეთვე სავაჭრო-სამეურნეო ზედამხედველთა კუზანოვის და ხეროდინოვის და ხმოსნის თავ. ნ. ზ. თუმანოვის **პასუხის გებაში** მიცემის შესახებ, დაუნიშნავთ ორ მარტს.

— 12 მარტს შესრულდება 70 წელიწადი, რაც უგანათლებულესი თავადი გენერალ-ადიუტანტი **გრიგოლ ლევანის ძე დადიანი** ოფიცრად არის.

— ს. საგარეჯოდან «ივერიას» ატყობინებენ: „ამ რამდენიმე ხნის წინად ორი აქაური ქალი მშობიარობის დროს მსხვერპლი გახდა სოფლის ბებერი დედაკაცისა, რომელსაც გამოცდილი ბებიის სახელი აქვს მოპოვებული სიბნელით მოცულ გლეხკაცებში. ამას გარდა კიდევ ერთი უბედურება მოხდა: ერთი კაცი დასუსტებული იყო ხანგრძლივის ავადმყოფობით და მკურნალის ნაცვლად დალაქი მიიწვია სისხლის გამოსაშვებად. დალაქმა სისხლი გამოუშვა, მაგრამ ისედაც ძალა გამოლეულმა ავადმყოფმა ამას ვერ გაუძლო და სული განუტევა. საკვირველია, რომ ასეთი ამბები ხდება საგარეჯოში, სადაც მთავრობის მიერ დაარსებული სამკურნალო, ერთი მკურნალი, ერთი ბებია ქალი და ორი ფერშალია».

— 18 თებერვალს, სადგურებ ტატლუის და აქსტაფის შუა კინაღამ უბედურება დატრიალდა. ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ ამოეღოთ რელსის სკეტი მატარებლის მეორე გზაზე გადმომყვან ისრიდან და გადეთ იგი ლიანდაგზე. ამ დროს მოდიოდა მატარებელი. საბედნიეროთ, მაშინისტმა დროზედ შეამჩნია და შეაჩერა მატარებელი.

✦ ფინანსთა სამინისტროში რამდენიმე ბელგიელს წარუდგენიათ პროექტი ახალი საზოგადოების დაარსების შესახებ, რომელსაც საგნად ექმნება ქვა-ნახშირის წარმოება სამხრეთ რუსეთში და კავკასიაში. საზოგადოებას 8 მილიონი ფრანკი ძირითადი თანხა აქვს.

✦ ოზურგეთის მაზრიდან გვწერენ, რომ იქ ბოლოს კვირებში გაზაფხულის დღეები დადგა. ასეთს ადრეულს გაზაფხულს არ მოსწრებიან მცხოვრებნი. შიშობენ, მარტმა არ უმტყუნოს და არ აცივოს, მაშინ ბევრი ხეხილი გაფუჭდება.

✦ 20 თებერვალს ამიერ კავკასიის რკინის გზების მსახურთა დამხმარებელ საზოგადოებასთან გაიხსნა **საზოგადო სასადილო**, რომელშიაც მსურველთ (საზოგადოების არა წევრთაც) შეუძლიათ მიიღონ იაფ-ფასიანი სადილები.

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

**21 თებერვალი**

**კოლსბერგი.** ინგლისელთა რაზმი ორის ზარბაზნით წავიდა მტრის დასაზვერავად ორანჟის მდინარეზე არსებულ ხიდთან და ნახა, რომ ხიდი ბურებს არ დაუნგრევიათ. მდინარეს მეორე ნაპირზე იდგა 50 ბური, რომლებმაც უკან დაიწიეს, როგორც კი ინგლისელებმა ყუმბარები დაუშინეს. ინგლისის ბანაკი გადატანილ იქმნა გუშინ ბალერში კოლსბერგიდან 7 მილის მანძილზე ჩრდილოეთით.

**ნიუ-იორკი.** გაზ. „ნიუ იორკ ჰერალდის“ ვაშინგტონელი კორრესპონდენტი სწერს, რომ შეერთებულ შტატების მთავრობამ ინგლისსაც და ტრანსვაალსაც აცნობა—მზად ვარ შუამავლობა გავსწიოვო მშვიდობიანობის ჩამოგდებისათვისო. გარეშე საქმეთა სამინისტროს არა აქვს საბუთი იფიქროს, რომ ინგლისს სურდეს მშვიდობიანობის დამყარებაო, ტრანსვაალი კი მზად არის შესწყვიტოს ომი. მაკ-კინლეიმ გუშინ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც, სხვათა შორის, გამოაცხადა: „ჩვენ მალე მივიღებთ კანონით უფლებას დავაწესოთ შტატებში ოქროს ვალიუტა. არც ერთ სახელმწიფოსთან ჩვენ არა გვაქვს შეკრული კავშირი, არც ერთთან არა გვქონია შეტაკება ან უთანხმოება რამ, მაგრამ ყველასთან კარგი განწყობილება გვაქვს. არავის ლაღადს არ შეუძლიან გააუქმოს ჩვენი ხელშეკრულობა ესპანიასთან ან ჩვენი მოვალეობა ამ ხელშეკრულობით შექმნილი“.

**ნოჟან-ლე როტრუ.** ამომრჩევლებმა გაუმართეს ნადიმი დეშანელს, რომელიც ხელმეორედ იქმნა არჩეული პალატის პრეზიდენტად და რომელიც აკადემიაში იქმნა მიღებული. დეშანელმა სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც გამოაცხადა სრული თავისი რწმენა, რომ რესპუბლიკის დაწესებულებანი შეურყეველი დარჩებიან. მან შეასხა აგრეთვე ქება მხედრობას და სთქვა, რომ ყოველი ფრანგი ენერგიულად დაიცავს ჯარს შეურაცხყოფიდან. „ჩვენ გვაქვს საუკეთესო არტილერია, სთქვა მან, და უძლიერესი კავშირი“. ტრანსვაალის შესახებ მან სთქვა: „თუ სუსტებს არ ვეხმარებით, გაუფრთხილებლობაა და ბავშვობაა გავაჯავროთ ძლიერნი“. ბოლოს დეშანელმა სთქვა: „ნუ დავივიწყებთ იმ დიადს მოვალეობას, რომელიც თავს გვაწევს ამ საუკუნის მეორე ნახევარში მომხდარ ომების შემდეგ (მოწონების ხმები). წავიდეთ წინ სწორის გზით—ეს რჩება ჩვენთვის შეურყეველ მიზნად“.

**ლონდონი.** დორდრეხტიდან მოსული ცნობებით, ინგლისელებმა დაიჭირეს კიდევ ერთი პოზიცია ბურებისა. უკანასკნელებმა სცადეს პოზიციების უკანვე დაბრუნება, მაგრამ ამაოდ. ინგლისელებს 6 მოუკლეს და 15 დაუჭრეს.

**ნიუ იორკი.** „ნიუ იორკ ჰერალდ“-ში დაბეჭდილია ტრანსვაალის წარმომადგენელის ლეიდსის დეპეშა, რომელშიაც გამოცხადებულია, რომ ბურებს ჰსურთ მშვიდობიანობის ჩამოგდებაო, მაგრამ იმ პირობით, რომ დაცულ იქმნას მათი დამოუკიდებლობა.

**ბერლინი** გაზეთ „დეილი ტელეგრაფის“ ცნობის შესახებ, ვითომც ვილჰელმს მიელოცოს დედოფლისათვის გამარჯვება, აქ ამბობენ, რომ ეს ასე არ ყოფილაო: იმპერატორმა მადლობა შეუთვალა ვიქტორიას იმ დეპეშისთვის, რომლითაც ინგლისის დედოფალი ატყობინებდა ვილჰელმს გამარჯვების შესახებ.

**დორდრეხტი.** გენ. ბრაბანტის დივიზიამ იერიში მიიტანა დღეს ბურების ბანაკზე ლაბუშანგ-ნეკთან.

**გლიუმფონტეინი.** ბურების ჯარებმა გარდასწყვიტეს დაანებონ თავი რენსბურგის მიდამოებს. ჯარებმა უკან დაიწიეს.

ოფიციალურად გამოცხადდა, რომ კრონიეს ჯარმა, რომელიც შესდგებოდა 2000 ან 3000 კაცისაგან, იარაღი დაჰყარა 15 თებერვალს, რადგანაც შემოაკლდა სანოვაგე და სამხედრო სურსათი. პრეზიდენტმა მიჰმართა მხურვალე მოწოდებით ნატალის ბიურგერებს, რომელნიც მიგგერბერგისაკენ იწევენ. პრეზიდენტი ხვალ მიდის პრეტორიაში.

**ლონდონი.** რობერტსი ოსფონტეინიდან დეპეშით იუწყება 20 თებერვალს: „კლემენტსმა მაცნობა, რომ მის მოწინავე ჯარებს უჭირავთ ახტერტანგი, ასე რომ რკინის გზის მიმოსვლა სადგურ ქუბერთან გაიხსნა დღესვე. ნარვალსპონტში კიდევ დიდძალი ბურების ჯარი სდგას. როგორც გატეკრმა მაცნობა, სტრომბერგთან ბურების რიცხვი დღითი დღე კლებულობს“.

მეფეკინგიდან ბადენ-პაუელი იტყობინება 3 თებერვალს, რომ იქ ყოველივე ისევ ისეა, როგორც წინად იყო. ბურები ზარბაზნებს უშენენ ქალაქს, ინგლისელები პასუხს აძლევენ.

ოსფონტეინშიაც საქმე უცვლელად არის.

**კონსტანტინეპოლი.** სერბია თანახმაა, სამ თვე ნახევრით კიდევ ძალაში იყოს დროებითი სავაჭრო კონვენცია ოსმალეთთან. რუმინია თხოულობს კონვენციის ძალაში ყოფნას კიდევ ერთი წლით, მხოლოდ სამი გვარი საქონლის ტარიფი აწეულ უნდა იქმნას.

**ლონდონი.** „ტაიმს“-ს ოსფონტეინიდან დეპეშით ატყობინებენ 18 თებერვალს: სად არის მტრის პოზიცია კარგად არ არის ცნობილი. პატარ-პატარა რაზმები აქა-იქ გამოჩნდებიან ხოლმე ინგლისის ჯარების გარშემო. ჩვენის აზრით, ინგლისის ჯარები შეხვდებიან მტერს აბრაგამსკრაალთან (პაარდებერგიდან აღმოსავლეთით 30 მილის მანძილზე), სადაც, როგორც ამბობენ, ჟუბერი თავს უყრის ჯარს, რომელიც შესდგება ყველა იმ ჯარებისაგან, რომელნიც ლედი-სმიტთან იდგნენ, და ჩრდილო ორანჟელი ჯარებისაგან. შტეინი მივიდა 15 თებერვალს აბრაგამსკრაალთან ბურების ბანაკში და წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც გაიხსენა მაიუბა და ითხოვდა რაიმე ღონისძიება მიეღოთ კრონიეს განთავისუფლებისათვის.

„სტანდარდ“-ს დეპეშით ატყობინებენ 19 თებერვალს კაპშტადტიდამ, რომ გრიკუალანდის მეამბოხენი, რომელთაც 600 ჰოლანდიელი ფერმერი პრიესკიდან მიემხრო, დაიჭირეს კენგარდტი, რომელიც პრესკიდან დასავლეთისაკენ 100 მილის სიშორეზე მდებარეობს. ისინი ეხლა მიდიან სამხრეთ-აღმოსავლეთით ვანკვიკსფლეისაკენ, სადაც დიდ-ძალი სურსათია. ადგილობრივი მცხოვრებნი, როგორც ამბობენ, ღელავენ.

„ტაიმს“-იც და სხვა გაზეთებიც ამბობენ, რომ დედოფალი ინგლისში დარჩება.

„სტანდარდ“-ს ატყობინებენ დეპეშით ოსფონტეინიდან 18 თებერვალს: ჩვენი მოწინავე რაზმები ერთი მილის სიშორეზე არიან მტრებისაგან, რომელთაც უჭირავთ განცალკევებული გორაკების ჯგუფები მდინარის სამხრეთით; ჩვენი უმთავრესი ბანაკიდან ისინი არიან აღმოსავლეთით 10 მილის სიშორეზე. მტრის ჯარის რიცხვი 4000 მდე უნდა იყოს, ისინი თავიანთ პოზიციებს ამაგრებენ. როდსი მოვიდა 20 თებერვალს.

**პეტერბურგი.** ერმიტაჟში მათ უდიდებულესობათ სადილი ჰქონდათ და სადილის შემდეგ ბალი.

21 თებერვალს გატჩინოდან ჩამობრძანდნენ იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, მემკვიდრე ცესარევიჩი და დიდი მთავრინა ოლღა ალექსანდრეს ასული.

**22 თებერვალი**

**ლონდონი.** „დეილი ხრონიკლ“-ის სიტყვით, უელსის პრინცი არ დასწრებია პარიზის გამოფენის გახსნას.

იაპონიის იმპერატორმა დეპეშით მიულოცა დედოფალს ინგლისის გამარჯვება სამხრეთ აფრიკაში.

ოფიციალურის ცნობებით, ბოლოს დროს ბულერს მოუკლეს ლედი-სმიტთან 13 კაცი, დაუჭრეს 684, მხოლოდ 95 კაცი მას უგზოუკვლოდ დაეკარგა.

**კაპშტადტი.** ოფიციალურად გამოაცხადდა მოლდნერის პროკლამაცია, რომელიც აცნობს, რომ რადგანაც პრიერის, კენგარდტის ფრისტოვის და ბარკლივესტის ოლქებში მტერი შემოვიდა და ადგილობრივი მცხოვრებნიც აჯანყდნენ, ამ ადგილებში შემოღებული იქმნა სამხედრო წესები.

**კონსტანტინეპოლი.** გაზეთი „სერვეტ“-ი იუწყება, რომ მაჰმადიანთა მთავარმა ედურბაჯემ შუა აფრიკაში გაილაშქრა ჩრდილოეთით, რათა შეერთებულიყო ოსმალეთის ჯარებთან, რომელნიც მოვიდნენ ამ ქვეყნის დასაპყრობად. ედურბაჯს ჰყავს 60,000 კაცი და რამდენიმე ზარბაზანი.

**პარიზი.** დეპუტატი ბერრი დაეკითხა მთავრობას საზღვაო სამინისტროს მოხელის ფილიპისა და სხვა მოხელეთა შესახებ, რომელთაც

ჰბრალდება უცხოელ სახელმწიფოების საელჩოსთვის საიდუმლო ცნობების მიცემა. პალატამ 488 ხმით წინააღმდეგ 20-სა მიიღო პელტონის წინადადება, რომლით საზღვაო ბიუჯეტი პირველ მუხლს გამოაკლეს 500 ფრანკი. ამით პალატა სრულიადაც არ ჰკიცხავს საზღვაო სამინისტროს, არამედ უჩვენებს მას, რომ საჭიროა ზოგიერთ ზომების მიღება. ლანესანი პირობას აძლევს პალატას, რომ დამნაშავენი დასჯილ იქმნებიან.

**ლონდონი**. პალატა. ფინანსთა მინისტრმა წინადადება შემოიტანა, რომ დეფიციტის დასაფარავად მოემატოს შემოსავლის რაოდენობაზე დაწესებულს გარდასახადს ერთი შილინგი; გაძლიერებულ იქმნას გარდასახადი ლუდზე და სპირტზე. აგრეთვე აქციზი თუთუნზე, უცხოეთიდან შემოტანილ სიგარებზე და ჩაიზე. დანარჩენი 35 მილ. მინისტრის წინადადებით დაფარულ უნდა იქმნას ობლიგაციური სესხით, რომელიც გარდახდილ უნდა იქმნეს 10 წლის განმავლობაში. ბალფური აცხადებს, რომ მთავრობამ არ იცის, რომ ტრანსვაალი თანახმა იყო 1868 წ. დეკლარაცისა, რომელიც წინააღმდეგია ასაფეთქებელ მასალით მომზადებულ ტყვიების ხმარებისა. დეკლარაციაში არ მოიპოვება მუხლი, რომლის ძალით ბურებს შეეძლოთ პროტესტის განცხადება ამ გვარ ტყვიის ხმარების წინააღმდეგ. გიკსბიჩი იხილავს რა ხარჯთ-აღრიცხვას, ამბობს, რომ მიუხედავად ინგლისელთა გამარჯვებისა მთავრობა თავის მოვალეობათ რაცხს მოსთხოვოს პალატას კრედიტი, რომლითაც შეიძლებოდეს ომის გაგრძელება და ქვეყნის დასაცვავად ზომების მიღება; სულ საჭირო იქნება 38 მილ. გირვანქა სტერლინგი. მომავალ წლის დეფიციტი იქმნება 18 მილ. გირ. სტერლინგი. სულ მომავალი წლის ხარჯი გამოანგარიშებულია 154 მილ., რომელთაგან 60 მილ. ომს მოხმარდება. მინისტრის ფიქრით, ეს კრედიტი საკმაო იქმნება ომის დასრულებისათვის.

43 მილ. მოპოვებულ უნდა იქმნას სესხით. მინისტრს იმედი აქვს, რომ მისი წინადადება მიღებული იქმნება. უცხოელები თვალ ყურს ადევნებენ ინგლისს და ჰსურთ გაიგონ დასუსტდა თუ არა ინგლისი, შეფერხდა თუ არა მისი კეთილ დღეობას. კემპბალ ბანერმანმა მოიწონა მთავრობის წინადადება, თუმცა განაცხადა, რომ ოპოზიცია არ იქმნება პასუხის მგებელი მთავრობის პოლიტიკას გამოგილა პროტესტს აცხადებს პროექტის წინააღმდეგ და ამბობს, რომ ირლანდიამ არ უნდა მიიღოს მონაწილეობა ომისათვის ხარჯის გაღებაში. გარკორტი უწონებს გიქს ბიჩს ფონანსიურს პარციპებს.

**ვიატკა**. ბუხჰალტერი პაკეტოვი, რომელსაც დაჰბრალდა ხაზინიდან ყალბის საბუთებით 100000 მან. მიღება, გამოტყდა. წაღებულ ფულებიდან 97,455 მან. იპოვეს ქალაქ გირედ ტყეში დამალული.

**ლონდონი**. „ტაიმს“-ს ლორენცო მარკეზედან ატყობინებენ 20 თებერვალს: „აქ სხვა-და-სხვა ერთმანეთის საწინააღმდეგო ხმები დადის. ერთის მგრით ამბობენ, რომ ბურებმა მშვიდობიანობის ჩამოგდების შესახებ დაიწყეს ლაპარაკი; მეორეს მხრით იმასაც ამბობენ, რომ ბურებს დიდი მზადება აქვთ, რათაგლენკესთან და ლენგენეკთან ინგლისელებს შეებრძოლონ. ამავე დროს ბურები ამაგრებენ პრეტორიას. კრონიეს დამორჩილების შემდეგ ორივე რესპუბლიკის პრეზიდენტებმა და სარდლებმა ერთმანეთი ინახულეს ჩრდილოეთ ნატალში. კრიუგერმა დეპეშით მიმართა ოფიცრებს, გაამხნევა იგინი და სთხოვა იყვნენ მტკიცედ და ჰქონდეთ ღვთის იმედი. უწინდელ გამარჯვებამ დაგვანახვა, რომ უფალი ჩვენთან არსო. ორანჟეს რესპუბლიკის ერთმა ცნობილმა მოხელემ განაცხადა, რომ თუ ორანჟეს ბურები დამარცხდნენ, ისინი დაიწევიან ტრანსვაალში, შეუერთდებიან თავის ძმებს და განაგრძობენ ბრძოლას უკიდურესობამდე.

ოფიციალური ცნობებიდან სჩანს, რომ ბურები ერთი კვირის განმავლობაში 17 თებერვლამდე მოუკლეს 31 და დაუჭრეს 130.

**რომი**. პალატა. ვისკონტი ვენოსტა პასუხს აძლევს ბოცრას და 7 სხვა რესპუბლიკელ დეპუტატებს, რომელნიც დაეკითხნენ მას—აქვს თუ არა მას განზრახვა ეცადოს მშვიდობიანობა ჩამოაგდოს ინგლისელებს და ბურებს შორის?

მინისტრი ამბობს, რომ მას ესმის რა გარემოება ასულდგმულებს დეპუტატებს, მაგრამ ჰფიქრობს, რომ ჯერ დრო არ დამდგარა მებრძოლთა შესარიგებლად (მოწონების ხმები).

დრ. რედ. ალ. ჭყონია

# გამოსადეგი ცნობანი

## საკალენდრო ცნობები

**ოთხშაბათი**, 23 თებერვალი; ახალი სტილით 7 მარტი. წლის დასრულებამდე დარჩა 312 დღე. მთვარის მე-8 დღე. დიდი მარხვის მესამე დღე. ხსენება წმ. პოლიკარპესი, სმირნის ეპისკოპოზისა და ღირსთა ალექსანდრესი და ანტონნიისა.

**ხუთშაბათი**, 24 თებერვალი; ახალი სტილით 8 მარტი. წლის დასრულებამდე დარჩა 311 დღე. მთვარის მე-8 დღე. მეოთხე დღე დიდი მარხვისა. ხსენება წმ წინამორბედის იოანესი.

შემდეგი უქმი—25 მარტს—ხარება.

## ნიხრი

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი მროხისა | 1 გ. | —11 | კ. |
| სუკი . . . . | 1 » | —15 | კ. |
| » ცხვრისა . | » » | —11 | კ. |
| » კამეჩისა. . | » » | — 5 | კ. |
| » ღორისა. . | » » | — 8 | კ. |
| » ღორის ბარკალი სალორეთი . | 1 » | —10 | კ. |

(მროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარ. | 1 გ. | 5 | კ. |
| » » | II » | » » | $3^1/_2$ | » |
| » » | III » | » » | 3 | » |
| იგივე თორნისა | I » | » « | 5 | » |
| » » | II » | » » | 4 | » |
| » » | III » | » » | $3^1/_2$ | » |
| ლავაში ჯვ. მამ. | I » | » » | 6 | » |
| » » | II » | » » | 4 | » |

## ტფილისის ბაზრები:

| გაიყიდა მეიდანზე: | | | | ჯოკზალზე | |
|---|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. | ფუთი. | მ. | კ. | მ. | კ. |
| | 1 | 1 | 30 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 | — | |
| ქერი . . . . . | 1 | — | 88 | — | 85 |
| სიმინდი . . . . | 1 | — | 70 | — | — |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 | 20 | — | — |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 10 | — | — |
| კომბოსტო. . . . | 1 | — | 60 | — | — |
| კარტოფილი . . . | 1 | — | 60 | — | — |
| ხახვი . . . . . | 1 | — | 50 | — | — |
| თივა . . . . . . | 1 | — | 60 | — | — |
| ბზე . . . . . . | 1 | — | 28 | — | — |

შუშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შუშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. 80 კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი ადგილობრივი ჯიშისა 8.-დამ 8 მ. 50 კ.-მდე, მროხა და ხარი აქაური საკლავი 30 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი მესაბმელი,—კამეჩი—მ. -მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მან., მესაბმელი— მ.

## რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 მ. | 25 კ. | № 4—7 » | 25 » |
| № 1—8 » | 50 » | № 5—7 » | — » |
| № 2—8 » | — » | № 6—6 » | 75 » |
| № 3—7 » | 50 » | № 7—6 » | 25 » |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.
შაქარი ინგლ ფუთი 5 მან. 70 კ.
„ფშხვნილი „ 4 „ 80 „
მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი—ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

## საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო**. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი**: ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა**, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა**, კორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო**, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის**. უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და კუზუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) კორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

—დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

**სახალხო მატარებელი № 1** ბაქოდან ტფილისში გამოდის 4 ს. 15 წ. დღ.; ტფილისში მოდის 8 ს. 40 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის 9 ს. 10 წ. დილ., ბათუმში მიდის 8 ს. 32 წ. საღ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 12 ს. 20 წ., ტფილისში მოდის საღამოს 6 ს. 28 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 7 ს. 32 წუთ., ბათუმში მიდის დილის 8 ს. 12 წ.

**სახალხო მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 9 ს.

15 წუთ. დილ., ტფილისში მოდის საღამოს 8 ს. 35 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღ. 9 ს. 23 წ., ბაქოში მიდის 1 ს. 04 წ. დღის.

**სალდასტო მატარებელი № 4** ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 ს. 05 წ. საღ., თბილისში მოდის 9. 45 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 11 ს. 32 წ., ბაქოში მიდის დილის 6 ს. 15 წ.

მატარებელი № 5 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 3 ს. 25 წ., ბორჯომში მიდის 8 ს. 23 წ. საღ.

მატარებელი № 6 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 8 ს. 20 წ. დილ., თბილისში მოდის დღისით 12 ს. 55 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 5 ს. 02 წ., მეორე—დღეს 12 ს. 40 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 30 წ., ფოთში მოდის—პირველი 7 საათ. 12 წ. დილით, მეორე—2 ს. 49 წ. დღ. და მესამე—9 ს. 49 წ. საღ.

**ფოთიდან** სამტრედიაში გადის სამი მატარებელი: პირველი—ღამის 1 ს. 11 წ., მეორე—დილის 6 ს. 20 წ., მესამე—საღ. 9 ს. 48 წ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—8 ს. 42 წ. დილის, მესამე—ღამის 11 ს. 57 წ.

ფოთიდან რიონში გადის დილის 6 ს. 20 წ., რიონში ფოთიდან მიდის დილის 6 ს. 45 წ.

**რიონიდგან** ქუთაისში გადის შვიდი მატარებელი: ღამის 3 ს. 55 წ., და 5 ს. 30 წ. დღის 1 ს. 30 და 4 ს. 50 წ., საღამოს 6 ს. 30 წ. დილის 8 ს. 45 წ. და 10 საათ.

**ქუთაისიდგან** რიონში მიდის ღამის 12 ს. 55 წ., და 4 ს. 40 წ. დღისით 12 ს. 30 წ., 3 ს. 50 წ., და 5 ს. 30 წ.,

**შორაპნიდან** ჭიათურაში გადის დღეში ორი სახალხო საქონლის მატარებელი. პირველი გადის დილის 6 ს. 50 წ., მეორე 5 ს. 15 წ. დღისით.

**ჭიათურაში** მიდის პირველი—დილის 9 ს. 42 წ. მეორე—საღამოს 8 ს. 07 წ.,

**ჭიათურიდგან** შორაპანში გადის ორი მატარებელი: პირველი 1 სა 40 წ. დღისა, მეორე—საღამოს 11 ს. 15 წ. შორაპანში მიდის—პირველი დღისით 4 ს. 31 წ. მეორე—ღამის 2 ს. 05 წ.

**მიხაილოვიდგან** სურამში გადის დღეში ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 12 ს. 03 წ., მეორე დილის 6 ს. 25 წ., მესამე,—დღის 1 ს. 5 წ. და მეოთხე საღამოს 7 ს. 18 წ.

სურამში ყველა ეს მატარებლები 12 წ. განმავლობაში მიდიან.

**სურამიდგან** მიხაილოვში გადის ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 5 ს. 08 წ., მეორე დილის 11 ს. 48 წ., მესამე დღის 4 ს. 40 წ., მეოთხე—საღამოს 10 ს. 50 წ.

მიხაილოვში 12 წ. განმავლობაში მიდიან.

**ქუთაისიდგან** ტყიბულში გადის ღამის 6 ს. 50 წ. ტყიბულში ჩადის 10 ს. დილისა.

**ტყიბულიდგან** ქუთაისში გადის დღისით 1 ს. 30 წ., ქუთაისში მიდის 6 ს. 30 წ. დღისით.

**ომნიბუსების** მიმოსვლა თბილისისა და ვლადიკავკასის შორის დაწყებული 1 ნოემბერს 1899 წ.ვიდრე 1 მაისამდის 1900 წ.

**თბილისიდან** ხუთსაჯდომიანი კარეტა გადის დილის 8 საათზე (მლეთში ღამის თევით) და ვლადიკავკასში ჩადის საღამოს 7 ს. 30 წ. და ექვს-საჯდომიანი ომნიბუსი გადის ნაშუადღევის 3 საათზე და ვლადიკავკასში ჩადის მეორე დღეს საღამოს 5 ს. 35 წ.

**ვლადიკავკასიდგან:** ხუთ საჯდომიანი კარეტა გამოდის დილის 8 საათზე (ღამის თევით მლეთში) და ჩამოდის ტფილისში მეორე დღეს საღამოს 6 ს. 40 წ., ექვს საჯდომიანი ომნიბუსი გამოდის საღამოს 8 საათზე და ტფილისში ჩამოდის მეორე დღეს საღამოს 9 ს. 30 წ.

# განცხადებანი

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ისყიდება ახალი წიგნები:

ა) Царица Тамара, ფ. 50 კ.

ბ) Грузинскія обители внѣ Грузіи, ფ. 25 კ.

დ) Исторія Грузинской церкви, ფ. 40 კ.

შინაარსი 1-ლის წიგნისა: ა) მოკლე განხილვა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა თამარის ეპოქამდე, ბ) რუს-ქართველთა დამოკიდებულება, გ) თამარ მეფე და დ) პალეოგრაფიული ნიმუშები: 1) წერის ნიმუშები მე-VII, VIII—IX და X საუკ., 2) ხელწერილობა თამარისა, მისის მამის გიორგისა, ქმრის დავითისა, შვილის გიორგი ლაშისა, შოთასი (რუსთაველისა?), კათალიკოზის თეოდორესი, მანდატურთ ხუცესის ჭიაბერისა და სხ. წიგნის დასაწყისს დაბეჭდილია თამარ მეფის სურათ-ხატი. 2—1

დაიბეჭდა და ისყიდება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი საყმაწვილო სურათებიანი წიგნი **ანდერსენისა:**

## დედა

თარგმნილი თ. სახოკიას-მიერ.

გამოცემა

**ნაჩინო თურქიასი**

ფასი 8 კაპ.

საუკეთესოდ მოწყობილი

# სტამბა

წიგნების გამომც. ქართველთა ამხ—ბისა

იღებს ყოველგვარ

## სასტამბო საქმეებს

სტამბა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლში

## ისტორიული ნარკვევი

ანუ

**ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის**

შედგენილი

ალექსანდრე ჭყონიასაგან

მოწონებულია კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან საშუალო სასწავლებლების ბიბლიოთეკებისათვის

ფასი 1 მ. 50 კაპ.

ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში.

დაიბეჭდა და ისყიდება

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში

ახალი ქართული წიგნი

## სიტყვიერების თეორია

სალიტერატურო ნიმუშების კრებული ანუ ქრისტომატია

წიგნი შედგენილია

ალავერდის ეპისკოპოზის კირიონისა და გრ. ყიფშიძის-მიერ

ფასი 1 მანეთი

ვინც ათს ცალზე ნაკლებს არ იყიდის, წიგნი დაეთმობა 80 კ, ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფას-დადებით შეუძლიანთ დაიბარონ ამ ადრესით: Тифлисъ. Книжный магазинъ Общества грамотности.

ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

## გლეხი-კაცის ისტორია,

ერკმან-შატრიანისა:

**სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა**

ნაწილი **I** საერო კრება . . . . . . . . 60 კ.

იგივე კარგ ქაღალდზე. . . . . . 75 „

ნაწილი **II** სამშობლოს განსაცდელი. . . . . 60 „

იგივე კარგ ქაღალდზე . . . . . . 75 „

ნაწილი **III** წელიწადი პირველი რესპუბლიკისა } . 1 მ. 20 „

ნაწილი **IV** მამულიშვილი ბონაპარტე }

იგივე კარგ ქაღალდზე . . . . 1 მ. 50 „

ბრძუალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი . . . . . 30 „

ივდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა . . . . . 30 „

**პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება**

გამომც. გ. გუნია

Дозволено цензурою. Тифлисъ, 22 Февраля, 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.